№ 253
ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 253
ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 1898 წ.
რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 28 ნოემბერს.

კნეინა **მარიამ ივანეს ასული**, თავ. **ვასილი, გრიგოლ და კონსტანტინე ნიკოლოზის ძენი, კნეინა მართა და ელენე ნიკოლოზის ასულნი** და **კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილები**, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა უეცრად გარდაცვალებას: პირველი—საყვარელის ქრმისა, უკანასკნელი—მამამთილისა და დანა-ჩენნი—მამისა

თავ. ნიკოლოზ გრიგოლის ძის ჩერქეზიშვილისას,

სთხოვენ პატივი სცენ მიცვალებულს და მობძანდნენ პარასკევს, 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე გამოსვენებაზე სახლიდგან (კუკიაში, მე-3 თუმანოვის ქუჩა, № 36) წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და იქიდგან კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე—შუა დღის 1 საათზედ და საღამოს 6 საათზედ. (1—უ.—1).

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს,
პირველად **ეფ. მესხის** მონაწილეობით
ბენეფისი **პ. მესხისა**
წარმოდგენილი იქმნება
კოტეტრი აზნაური
ხუთ-მოქმედებიანი კომედია თარგ. ვ. აბაშიძისა.
დგილების ფასი დაკლებულია. დასწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **პ. მესხი.**

კვირას, 29 ნოემბერსთვეს, საღამოს 6 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
საგანგებო კრება
ქართველთა საადებ-მიტეკო ამხანაგობის
„შუამავალისა“.

კრება უსათუოდ შესდგება იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დესწრება ეს წიგნის პატრონი.
კრებამ უნდა აირჩიოს: 1, თავმჯდომარე კანტროლისა წარსულის წლიური კრების დადგენილების თანხმად და 2, „ფირმის“ წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდგან.
გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი სხვა შინაური საქმეებიც.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.
(5—ნ.—3)

ფელეტონი

„კვალი“ და მისი „იურისტი“.

ბა „დავთარის დაკარგვა“ ამასა ქვიან, აი!.. საბრალო „კვალი“... ეაკი ერთი შეტოპა სიძულილით ამოწვეულ შეცდომათა ჭაობში, თანდათან უფრო შიგ იფლება, იწევს მაღლა და თავი ვეღარ დაუღწევია. ემწვავა ჩვენი ორი სამართლიანი წერილი („ივერია“, №№ 234 და 245) და გამწვიტინებული ხან ოცოს ედება და ხან ბოდიხს... წაიკითხეთ „კვალის“ უკანასკნელი ნომერი (48) და დარწმუნდებით, რომ შიგ ყველაფერი არის—ჩვენი ჯკადრისად ხსენება, გაოგნება, ცოდვილობა როგორმე თავის გამართლებისა, მაგრამ სიმართლეს-კი რამდენიც სცდილობს მიეტანოს „კვალი, იმდენი ჰშორდება და საუკეთესოდ იბრუნებს პირს.

ჩვენს წერილებში ოთხი ბრალი დავდეთ „კვალს“:

1, ქართულის ენის უცოდინარობა და დამახინჯება;

2, უმართებულო საქციელი, ბ-ნთ ყიფიანისა და გელეიშვილის საქმის შესახებ შვიდ-სტრიქონიან უხამსობის დაბეჭდვით ჩადენილი;

3, უმიზეზო სიძულილით შეიარაღება ბ-ნ ს. ყიფიანის მიმართ და მისი, ს. ყიფიანის, გაზეთისათვის შეუფერებელი დევნა, და, დასასრულ,

4, „მეცნიერული“ უვიცობა, ანუ რუსეთის კანონთა არ ცოდნა და მისი უცოდნელად ხსენება.

ყოველ ამ ბრალის საბუთები იმავე წერილებში გვქონდა აღნიშნული. სხვა ისეთი არა გვითქვამს-რა და არა გვიკიჟინებია-რა „კვალი“-სათვის, რაც სათქმელი არა ყოფილიყო ამ ბრალთა საბუთით. ამ საბრალმდებლო ოქმით დამნაშავეთა სკამზედ დაბრძანებულმა „კვალმა“ პირველი ბრალი დუმილით ჩაატარა და, მაშასადამე, იკისრა; მეორე ბრალიდგან თავის დასაძვრენად ეად გილოდ წამორროშა, რომ „ბ ნ ლოლუას გადაყენება შეეძლო ბ-ნ გელეიშვილის ვექილსაო“, და ამით მეოთხედ აღნიშნული ბრალი მოიხვია კისერზედ, ე. ი. რუსეთის კანონების „მეცნიერული“ უვიცობა გამოიჩინა, რაც „კვალი“-საგან არც საკვირველი იყო. რაც შეეხება მესამე ბრალს, ამასაც, პირველსავით, გაუჩუმდა და ამის ნაცვლად ყოველად უადგილოდ ჩემის „აწრიპინების“ შესახებ გააბა ენა-ბლაგვი ლაპარაკი.

მე-47 №-ში რომ „კვალმა“ ჩემი ფსევდონიმი აიღო საქილაკავოდ, მე-48, უკანასკნელ, №-ში ჩემს პირადობას შეეხო და, ამას გარდა, „იურისტიც“ დაიქირავა, რომ „მეცნიერულ“ უვიცობის ბრალი როგორმე აიცილოს თავიდგან. მაშასადამე, ბრალდებული „კვალი“-ა, ბრალმდებელი—თქვენი უმორჩილესი მონა, ვექილი ბრალდებულისა—„იურისტი“ და მოსამართლეები—მკითხველი საზოგადოება, რომელსაც ერთხელ, და უკანასკნელად, კიდევ შევაწუხებთ ამ „წყალ-წასაღებ“ და „ყბად-ასაღებ“ ამბის მოთხრობით.

წაიკითხეთ „კვალის“ „იურისტის“ — „საზოგადო მოსაზრებანი მოსამართლეობაზე“, რომელიც, როგორც ამ ნახატებიან სისულელის რედაქცია შენიშნავს: იმად არის დაბეჭდილი, რომ „საქმე ნათლად გამოირკვეს და გარდა ზნეობრივი მსჯავრისა იურიდიული მსჯავრიც დაედვასო“, წაიკითხეთ და თუ შიგ, უბრალო სიტყვების რახა-რუხის მეტს, რასმეს იპოვნით, „იურიდიულს მსჯავრს“ ვინა სჩივის, მართლა დიდი ამბავი იქნება.

საბრალო „იურისტი“!.. სცდილობს რა გაამართლოს როგორმე თავისი დამქირავებელი, ათასს რასმე გადასცემს და იმ ბრალისას-კი არას ამბობს გარკვეულს, გარდაწყვეტილს, რომლის ასახდელად თუ ასაყრელადაც იგია დაქირავებული. ჩვენ ვამბობდით, რომ „სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების“ მე-85 მუხ. ძალით არ შეიძლება გადაყენება მოსამართლისა იმ მიზეზით, რომელიც „კვალმა“ ისე უცოდინარად წამორროშა („გელეიშვილი „ახ. მიმოხ.“ სწერდა ლ. ლოლუას წინააღმდეგაო“), და ის გვიპასუხებს: „სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გვქონდეს აზრი წესდების თითოეული(ს) მუხლისა“, „სენატის განმარტებებში არ არის მოხსენებული ამისთანა შემთხვევაზე“ და „კანონი იმიტომაც არ უთითებს ამაებზე (ეს ეზე საუცხოვოა!), რომ მუდამ ტანმთელი ჰაერი, ცხოვრების ვითარებისა, ტრიალებდეს დახშულ სასამართლოს დარბაზში“-ო (sic!). მოდით და გაიგეთ, რას ამბობს: შეიძლება გადაყენება მოსამართლისა იმ „საბუთით“, რომელიც „კვალმა“ ისე უსაბუთოდ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილამობით:
ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ ჩაქოგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. ბრეტასეკიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ს. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისი.
ს. ბ. გურკა. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
გ. მ. მახვილაშვ.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ს. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ბ. ს. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(ნ)

ტფილისი, 25 ნოემბერი

1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამითი იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალღონე, რომელმაც შეჰმუსრა საფრანგეთიო. მას აქედ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავისი ძლევა-მოსილობა და წინ-სვლა იმავე ღონისძიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევა-მოსილობისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა.

ამ ოცს უკანასკნელ წელიწადში ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა-მრეწველობა ისე წინ წამოდგა გერმანიაში, რომ ყველასათვის საოცებელი გახდა. წინად ამ მხრით სუსტი ფ ულონო გერმანია ბევრად ჩამოუვარდებოდა იმისთანა სამრეწველო ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია და შორი-ახლოსაც სასწორზე ვერ დაუდგებოდა ინგლისს, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობით ყველა ქვეყნებზე წინ იყო. ეხლა გერმანია ამ ოცს თუ მეტნაკლებ წელიწადში მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის წინ უსწრობს და ლამის ინგლისს გაესწორ-პიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიოს.

ასეთმა სისწრაფემ გერმანიის წარმატებისამ განცვიფრებული ყურადღება მიიქცია იმისთანა მრეწველმოვაჭრე ქვეყნებისა, როგორიც ინგლისია, ბელგიაა და ჩრდილო ამერიკის შტატებმაც-კი ყურები აიცქვიტეს გაოცებისაგან და იმის გამოსარკვევად, თუ-რა ძალი და ღონე იხმარა გერმანიამ, რომ მისი ვაჭრობა-მრეწველობა ასე გაძლიერდა და გადიდდა, კომისიები დანიშნეს. აი ეს კომისიები რას ამბობენ:

„იგი უპირატესობა გერმანიისა, რომელიც წლიდამ წლამდე უფრო და უფრო თავს იჩენს, საქონლის (товаръ) სიკეთითა და ბაზრების განდიდებითა, სამართლიანი ჯილდოა იმ ზედ მიწევნით ასრულებულ პროგრამმისა, რომელიც სამის სიტყვით გამოითქმის: საერო განათლების წარმატება. ეს ქვეყანა მკის იმას, რასაცა სთესავს. თუ სხვა ქვეყნებს ჰსურთ მისს ვაჭრობას და მრეწველობას გაუმკლავდნენ, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იგი, და იმავე მხნეობითაო“.

„მარტო ერთი პრუსსია, და ამ მხრით იგი სხვა ყველა გერმანიის ქვეყნებზე დაბლა სდგას, სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის წელიწადში ჰხარჯავს მილლიონ ნახევარ მანეთსა იმისდა გარეითად, რასაც ამ საგნისათვის სწირავენ ქალაქების გამგეობანი, სახელმწიფო დაწესებულებანი და ცალკე კაცნი.

„თვით მეფაბრიკენი და მექარხნენი, ჰხედვენ-რა რა სარგებლობაა, როცა სწავლული და მცოდნე ხელოსნები და მუშები ჰყავთ, ინახავენ სკოლებს თავისის საკუთარის ხარჯით და ზოგჯერ მთავრობაც ჰშველის ფულით ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად. ამ სახით გამართული 248 სკოლაა და შიგ მოსწავლენი არიან 11,000 ყმაწვილი.

„ყოველის ცალკე ხელობისათვის ცალკე სკოლებია. ხელოსნებისათვის, რომელნიც შენობებს გარედამ და შიგნით ჰხატვენ და ალამაზებენ, პრუსსიაში 32 ცალკე სკოლაა, ხარაზებისათვის—9, დერეფეკებისათვის—16, ხაბაზებისათვის—20, ყასბებისათვის—6, მჭედლებისათვის 26 და სხვანი.

„ბადენის დიდ-საჰერცოგოს სულ ნახევარ მილიონზე ნაკლები მკვიდრი ჰყავს და სატეხნიკო სკოლებზეკი წელიწადში ჰხარჯავს 180,000 მანეთსა. ჰესენის დიდ-საჰერცოგოში, რომელსაც სულ ერთი მილლიონი მკვიდრი ჰყავს, ცხრა სახელოსნო სკოლაა, 43 სამრეწველო და 82 სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრო. ყველაზე წინ არის საქსონია, რომელიც თუმცა დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ ას თერთმეტი სატეხნიკო სკოლა აქვს, საცა ასწავლიან ყოველ გვარ ხელობას და ხელოვნებას. ამასთან საქსონიაში 10 სკოლაა საკუთრივ მიწათ-მოქმედებისა და 40 სავაჭრო სასწავლებელი.“

ინგლისის კომისია ამბობს: ,,ყოველ გვარ სამრეწველოში მუშის გასამრჯელო მატულობს გერმანიაში, ხანი სამუშაო დღისა განუწყვეტლივ კლებულობს და პატარა ყმაწვილების მუშაობა თითქმის მოისპო. ინგლისის მეფაბრიკეთ ტყუილადა ჰგონიათ, ვითომც წარმატებას მრეწველობისას გერმანიაში სხვა რამ მიზეზი ჰქონდეს ბ არა მარტო უპირატესობა ბ აღმატებულება საყოველთაო საერო განათლებისა და სასპეციალო-სატეხნიკო სწავლა-ცოდნისა‘‘.

ვისაც ჩვენში გული ერჩის ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის და ვინც იცის, რა ძალ ღონეს შეადგენს ერისას ვაჭრობა და მრეწველობა, იმისათვის გულში დასაჭდევია ყოველი ზემოხსენებული ამბავი. იგი დასკვნა, რომელიც გამოურკვევიათ ხსენებულ კომისიებს, აღალ-ბედად ნათქვამი არ არის: იგი შედეგია მცოდნე კაცების გამონაძიებისა და გამონაკვლევისა და, მაშასადამე, სახელმძღვანელოდ მისაღებია ყველგან და ჩვენთვის უფრო. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა ღონე არა გვაქვს, რომ ამ სიდიდე საქმეს შევეჭიდნეთ და სწორედ ეს უღონობა ვალად გვდებს ის მცირეოდენი, რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილ-უბრალოდ არა ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გამართვისათვის.

ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიას ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც-კი საფიქრებლად გაუხდა, ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატეხნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს. ყოველ ორთა შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამაების სწავლა ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ეგრეა და განსაკუთრებული ნიჭი არ სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭსა? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრსა ვხედავთ ნამეტნავად ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებდეს იმ მოდგმისა, რომელსაც ჩვენში უფროს-ერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელნიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ამ ტყუილად გაბერილს თავ-მოწონებას.

ცხადია, ესეთი მაგალითები განსაკუთრებულ ნიჭს ვაჭრობისას და მრეწველობისას არ უნდა მიეწეროს. ეს იმ ერთ გვარ უნარის საქმეა, რომელიც თვისის საკუთარის ღონით კი არა გულოვნობს, არამედ სხვისა უღონობით, თავისის სიკეთით კი არა, სხვის ნაკლებულობით, თვისის გამჭრიახობით კი არა, სხვისა გაურჯელობით, თვისის საქმიანობით კი არა, სხვისა უსაქმურობით. საცა უვიცობაა, როგორც ჩვენში, იქ ამისთანა ვაჭრის ბაღდადია. ეგ იმიტომ კი არა, რომ თვითონ ვაჭარი არის სწავლული და მცოდინარი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ უსწავლელნი და უცოდინარნი.

ამ სახით ჩვენი უღონობა სხვისა ღონედ შექმნილა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობად გაუხდია, ჩვენი უცოდინარობა სხვისა ცოდნად ქცეულა და ამაების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდამ მოჰყავს. რასაკვირველია, ერთის უნარი, სულდგმული მეორის უხეირობისაგან, ბევრს თავ მოსაწონებელს და სასიქადულოს არაფერს მოასწავებს, მაგრამ ეს ჩვენთვის რა ნუგეშია? მართალია, ამისთანა უნარს მალე ჩააყრევინებს კბილებს იგი სწავლა-ცოდნა, რომელსაც, როგორც ზევით ვნახეთ, ფეხზე წამოუყენებია გერმანია, საცა ვიდრე ამ სწავლა-ცოდნის გზას დაადგებოდნენ, თითქმის ებრაელთა ხელში იყო სულ შეხუთული და დღეს-კი ამ მხრით ყოვლად შემძლებელს ინგლისსაც-კი თითქმის ომს უსწორებს მსოფლიო ბაზარში და წარმატება გერმანიელისა აოცებს სხვებსა.

კიდევ ვიტყვით: ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის ღონობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი რომელისამე ერის მერმისისა. ამით დაე თავი მოიწონონ და ქადილით ყური გამოგვიყრუონ იმათ ვისაც ამისი ხალისი აქვს და ვისაც ამისთანა ფუყი უნარი დიდი განძი ჰგონია. ხოლო ჩვენ-კი ჩვენი უღონობა უნდა გავითვალწინოთ და სახსარს ჩვენის გაღონიერებისას ხელი მოვკიდოთ.

ტკივილი ჩვენი აშკარაა და წამალიც ნაპოვნი. ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავის მოსარჩენად. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა სახსარი სად გვაბადია, რომ ჩვენს ტკივილს მთლად გავუძღვეთ, მაგრამ უარარაობას ცალუღელი ხარი სჯობია. თუ ბევრს ვერ გავწვდებით, ცოტას მაინც მივაშველოთ ჩვენი ორივე ხელი. საქმე

წამოახოხორიკა, თუ არა?!. პირდაპირ ჰბრძანეთ, ბ-ნო იურისტო, შეიძლება, თუ არა? თუ არ შეიძლება, ჩვენ მართალი ვყოფილვართ, რომ „კვალს“ ,,მეცნიერული უმეცრება და უვიცობა“ ვუკიჟინეთ, ხოლო თუ შეიძლება—დაგვიმტკიცეთ, თორემ მაგისთანა დეკადენტურ ფრაზებით, რომ „კანონი იმიტომაც არ უთითებს ამაებზე, რომ მუდამ ტანმთელი ჭაერი, ცხოვრების ვითარებისა, ტრიალებდეს დახშულ სასამართლოს დარბაზში“-ო, ფონს ვერავინ გავა.

ჯერ მარტო ეს წინადადება „ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტია“!.. აბა ერთი გვიბრძანეთ, აქვს ამ წინადადებას ადამიანური აზრი? ჰკითხეთ ერთი „კვალს“, რად არის სასამართლო („დახშულ სასამართლოს დარბაზში“) დახშული? პირიქით, 1864 წლის „სასამართლო წესდებათა“ შემოღების შემდეგ სასამართლოს კარი ფართოდ გაიღო და დახშულობის კლიტე-ბოქლომი სრულიად ჩამოეხსნა. კარგი, კანონი, ვთქვათ, „არ უთითებს“, მაშრის ძალით მიუთითეთ ბ-ნ გელეიშვილის ვექილს, რატომ „ლ. ლოლუა არ გადააყენეო“? მაშ რალას წამოროშეთ, რომ „გელეიშვილის ვექილს ბ-ნ ლოლუას გადაყენება შეეძლო ამ საბუთითაო“? რომელის საბუთით, თუ ,,კანონი არ უთითებს“? ალბად იმ საბუთით თუ, რომ ,,კვალს“ ნიშანში ჰყავს ამოღებული ბ-ნი ს. ყიფიანი და გულით მოწადინებულია, რომ იგი აღგავოს ყოვლად უმიზეზოდ ამა ქვეყნის პირიდგან?.. ამის მეტი აბა სხვა საბუთი დამისახელეთ?..

ამის ნაცვლად, ,,იურისტი“ ასახელებს ,,სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების“ მე-802 მუხლს, რომელიც ამ შემთხვევას სულ არ შეეხება, და მე-600 მუხლს, რომელიც განმეორებაა ჩვენ მიერ ნაჩვენებ იმავე „წესდების“ მე-85 მუხლისა, შეეხება პირდაპირ ოლქის სასამართლოში დაწყებულს საქმეებს და, მაშასადამე, აქ სიტყვის მასალად მოსატანი არ იყო, ვინაიდგან „გელეიშვილისა და ყიფიანის საქმე“ მომრიგებელ-სასამართლოში გაირჩა, რომლისათვისაც იგივე „წესდება“ სავალდებულოდ ჩვენ მიერ დასახელებულს მე-85 მუხ. ჰხდის.

საგანს აცილებული „იურისტი“ იმის დასამტკიცებლად, რომ შემომხედეთ, რა ბიჭი ვარ, როგორ ხუთის თითივით ვიცი კანონებიო, აი რა „მაგალითით“ გვიგებს, სხვათა შორის, პასუხს:

„კანონში ერთი სიტყვაც არ არის იმაზე ნათქვამი, რომ ნაფიც მოსამართლეებს ნება არა აქვთ სასჯელი რამე მიუსაჯონ დამნაშავეთ ცნობილ პირებს. (,) მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ასე უნდა იყოსო...“

ე. ი. ვითომ-და ამ მაგალითით იმისი თქმა უნდა, რომ თუმცა კანონში არ არის ნათქვამი, რომ „კვალის“ მიერ დასახელებულ საბუთით შეიძლება მოსამართლის გადაყენება, მაგრამ მაინც ,,ასე უნდა იყოსო“. ვნახოთ ერთი ეს მაგალითი-კი გასწევს რისამე მაგალითობას? საკვირველია, ,,კვალის“ ,,ნახატებიან“ თანამშრომელთა საქმე, არაკუნებენ უგზო-უკვლოდ და ისიც არა ჰნებავთ „მეცნიერულს ბურუსში“ გახვეულთ, რომ გაიგონ ნამდვილად ის, რის შესახებაც ასე ,,მეცნიერულადა“ სჯიან.

„კანონში ერთი სიტყვაც არ არის იმაზე ნათქვამი, რომ ნაფიც მოსამართლეებს ნება არა აქვთ სასჯელი რამე მიუსაჯონ დამნაშავეთაო“... რად უნდა იყოს ნათქვამი, როდესაც იმავე კანონში ცხადად არის ნათქვამი („уст. угол. судопр. ст. 826 и 771), რომ სასჯელს უნიშნავენ მთავრობის მიერ დაყენებული მოსამართლეები და არა ნაფიცნი მსაჯულნი. ერთს ადგილას რომ აღნიშნა კანონმა, სასჯელს უნიშნავს სასამართლოო, მეორე ადგილს რაღად უნდა ეთქვა, რომ სასჯელს ნაფიცნი მსაჯულნი „არ უნიშნავენო“?.. იქ, სადაც რომელიმე უფლება ერთს კაცსა აქვს მინიჭებული, მეორე კაცის შესახებ რაღად უნდა ითქვას, რომ იგივე უფლება ამას არ ენიჭებაო? ეს ხომ ცალიერი, ,,კვალისებური“ წყალის ნაყვა იქნებოდა!.. აი, ესეც ერთი მაგალითი „კვალი“-ს მართლმსჯელობისა და „მეცნიერულ“ ლოგიკისა!.. ჰფქვავს „კვალი“ უადგილოდ, უცოდნელად, გაუგებლად, ჰქფვავს და სრულიად დაჰვიწყებია, რომ

დაუჭირავსა სიტყვასა
ჩხავილი ჰსჯობან ტურისა.

მაგრამ „კვალი“-ცა ჰგრძნობს, რომ სტყუის და რომ ,,იურისტის“ უთავბოლო ბაიბური ვერ გაამართლებს, ჰგრძნობს და კიდეც ამიტომ თავისის ვექილის ნალაპარაკევს არა ჰკმაროობს და იმავე №-ის ,,კვირიდან კვირამდე“-ში ხელთ იღებს მტყუანთა იარაღს—უმართებულო და უზრდელ სიტყვების ხმარებას ჩემ წინააღმდეგ. იგი ,,აბლაკატს“ მეძახის, ჩემს სამშობლოდ ,,შეითან-ბაზარსა“ სთვლის და მწამებს, ვითომ მე მეთქვას, რომ ,,ქუჩის მოკრივე ჯილდოს ღირსიაო“. პირველი ორი კიჟინი პასუხის ღირსი არ არის, იგი აშკარად ჰყოფს მხოლოდ ,,კვალი“-ს ,,საქებურთა ზნეთა“ და თავის დამცირებად მიგვაჩნია სამაგიეროდ ამ გვარისავე ლექსით მოვიხსენიოთ ვინმე, ვინაიდგან ვინ არ იცის, რომ

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოდინდების.

ხოლო რაც შეეხება იმას, ვითომ მე მეთქვას, რომ ,,ქუჩის მოკრივე ჯილდოს ღირსიაო“, ეს-კი პირახეული სიცრუეა და უარ-ყოფილ უნდა იქმნას. ჩვენ მხოლოდ ის ვუკიჟინეთ ,,კვალს“, რომ იგი ბ-ნ ს. ყიფიანის სიძულილით დაბრმავებული ჰმოქმედებს და, ,,მიტინგებით“ რომ ვერა გააწყო-რა, ახლა ოლქის სასამართლოს მიერ გაუქმებული მომრიგებელ-მოსამართლის დასაბუთებული განაჩენი დაჰბეჭდა, რომ ბ-ნ ს. ყიფიანის აუგი ახსენოს. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს განაჩენი დასაბეჭდი არ იყო, როგორც გაუქმებული ოლქის სასამართლოს მიერ და ყოველს მნიშვნელობასა და ძალას მო-

---

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: დადესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგის თანაშმდებობის აღმასრულებელი ბიბიკოვი—ქუთაისის გუბერნიის გლეხის საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებლად.

ახალი ამბავი

*** დღეს, 26 ნომბერს, ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ, ამ დასის არტისტისა და რეჟისორის კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ჩვენის საზოგადოებისათვის უკვე ცნობილ ხუთ მოქმედებიან კომედიას ,,კოტრს აზნაურს“. ამ წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ეფემია მესხიც.

*** ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე ტფილისიდგან ერევანში დაბრუნდა.

*** სამშაბათს, 24 ნოემბერს, ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა ბ-ნმა სტეფანოვიჩმა და საგუბერნიო ბეითალმა კრიდნერმა დაათვალიერეს ქალაქის საყასბო. საყასბო თუმცა უკეთესს მდგომარეობაში ყოფილა, ვიდრე წინად, მაგრამ უცვნიათ, რომ იგი სასურველად მაინც ვერ არის წარმართული. გარდა ამისა, სხვა-და-სხვა შენობისათვის უსარგებლოდ იხარჯება ფულიო. დაათვალიერეს აგრეთვე კოჩაროვისა და ავაკოვის ბაკები, სადაც ღორებს ინახავენ. აქაურ ღორებს ყველაზედ მეტი ტრიხინა აღმოაჩნდათ. დაათვალიერეს ის დუქნები, სადაც ხაშებს ამზადებენ და აგრეთვე რიყეზედ ის ადგილი, სადაც საქონელს ჰყიდიან.

საყასბო დაათვალიერეს აგრეთვე კავკასიის მთავარ-მართებლის ადიუტანტმა პოლკოვნიკმა სვეჩინმა, საგანგებო საქმეთა მოხელემ უგანათ. თავ. გრუზინსკიმ და პოლიცმეისტრის თანაშემწემ ბ-ნმა კოვალევმა და მათაც უსუფთაოდ სცნეს იგი. ეს ამბავი მთავარ-მართებელს უკვე აცნობეს.

*** გუშინ, 25 ნოემბერს, ცხენის რკინის გზათა დირექტორი ბ-ნი რობი მიიწვია ქალაქის გამგეობამ ხელშეკრულობის შესახებ მოსალაპარაკებლად. ბ-ნმა რობიმ განაცხადა, თანახმა ვარ მივიღო უკვე შესწორებული ხელშეკრულებაო. გუშინვე ქალაქის გამგეობამ ეს ხელშეკრულება გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს კავკასიის მთავარ-მართებელთან წარსადგენად.

*** ტფილისში არსდება პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტის და დედათა უმაღლეს კურსების გაჭირვებულ მოსწავლე-ქალთა დამხმარებელი საზოგადოება. დამაარსებელთ კრება დღეს, 26 ნოემბერს, აქვთ დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში, საღამოს 8 საათზედ. კრებაზედ ყველას შეუძლიან დაესწროს.

*** ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიასთან დაარსდა ამას წინად ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. რადგანაც საზოგადოებას შეძლება ნებას არ აძლევს ყველა გაჭირვებულ მოსწავლეს შემწეობა აღმოუჩინოს, ამიტომ საზოგადოების გამგეობამ მიჰმართა 24 ნოემბერს ქალაქის გამგეობას და ფულით დახმარება სთხოვა.

*** რუსეთის საიმპერატორო საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას აზრადა აქვს გამართოს ტფილისში თესლეულობის დეპო. დეპოსთან გამართული იქმნება აგრეთვე საკონტროლო სადგურიც. დეპოს გამგედ არჩეულ იქმნა საზოგადოების განყოფილების წევრი ვ. ვ. როდულოვიჩი.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გორის მაზრის ცხინვალის საბოქაულოში დანიშნულ იქმნა ერთი ბეითალი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს, რომამ საბოქაულოში საქონლის ჭირი არ გავრცელდეს.

*** გუშინ, 25 ნოემბერს, ჩამოვიდნენ ტფილისში სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ბეითლები: ბელოვი, ნეცეცკი, ორლოვსკი, სომკოვიჩი და იაროცკი, რომელნიც ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მაზრაში გაჰგზავნეს.

*** 23 ნოემბერს ამერიკის ვაზის ქორეისუბნის სანერგეში (სენაკის მაზრაში) გამოსცადეს ახალის სისტემის გუთნები. საუკეთესოდ უცვნიათ ეკკერტის გუთანი CBNO მარკისა. გამოცდას დასწრებია სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი და აგრონომები.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს ააგოს ახალი შენობა რკინის გზის საავადმყოფოსათვის, სადაც 200 ავადმყოფის მოთავსება შეიძლებოდეს. გამგეობამ უკვე მიჰმართა გზათა სამინისტროს და სთხოვა, რომ ამ საქმისათვის გადადებულ იქმნას 200,000 მანეთი.

ახალის შენობის აგებისათანავე ძველი გაუქმებულ იქმნება.

*** ახალციხის მაზრის სოფ. ასპინძასა და ციხანში საქონელს ჭირი გასჩენია. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით გაგზავნილ იქმნა იქ ბეითალი ტოლოკონევი. ხოლო მთელის მაზრის თვალ-ყურის ჭერა მიენდო ბეითალს ტიმოფეევს. დახოცილ საქონელთა პატრონების დასაჯილდოვებლად გადადებულ იქმნა 1000 მანეთი. განსაკუთრებით საშიშია სოფელი ციხანი, რომელიც აბასთუმნის მახლობლად მდებარეობს. ამ სოფლიდგან დიდი გზა მიდის ქუთაისში და ამ გზით საქონელს მიერეკებიან ხოლმე.

*** რადგანაც ტფილისში ყვავილი მძვინვარებს ქალაქის გამგეობამ ქალაქის გადასადებ სატკივრით ავადმყოფთათვის დაარსებულ ფარდულებში კიდევ ათი საწოლი მოუმატა და ამ ჟამად ერთ ფარდულში ბავშთათვის 26 საწოლია და მოზრდილთათვის-კი 24 საწოლი.

*** გუშინ ტფილისში კიდევ 13 ყვავილით ავადმყოფი აღმოუჩენიათ.

*** რუსულის გაზეთების სიტყვით, კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, ინჟენერთა და ტეხნიკოსთაგან კომისია იქმნება შემდგარი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ქალაქის ქუჩები და გამოიკვლიოს რამდენად კარგად არის ეს ქუჩები მოკირწყლული.

*** ოზურგეთიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“-ს: სოფ. ერკეთში სცხოვრობენ აზნაურნი ბერიძენი და უჯმაჯურიძენი. კარგა ხანია ამ აზნაურებს შორის მამულის გამო უთანხმოება და მტრობაა ჩამოვარდნილი. ამ ორის წლის წინად ბერიძეებმა, ორმა კაცმა, მოჰკლეს ერთი უჯმაჯურიძე. 13 ნოემბერს კიდევ ბიჭია ბერიძემ დასჭრა სილვან უჯმაჯურიძე. ბერიძე, მთვრალი, შევარდა ამ დღეს სილვან უჯმაჯურიძეს სახლში და ხანჯლით დასჭრა ეს უკანასკნელი. შემდეგ ბერიძე სადღაც გაქცეულა. როდესაც ხალხი შეიკრიბა, ახალი ჩხუბი გაიმართა ბერიძეებსა და უჯმაჯურიძეებს შორის, რომლის დროს ერთი ბერიძე მსუბუქად დაიჭრა. ბიჭია ბერიძე ჯერ ვერ შეიპყრეს.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, რუსეთის საიმპერატორო საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას აზრადა აქვს მომავალ 1899 წელს გაჰმართოს აპრეშუმის ნაწარმოების გამოფენები კავკასიის 11 სხვა-და-სხვა ადგილას, ხოლო 4 ადგილას მეფუტკრეობის გამოფენა. სხვათა შორის მეფუტკრეობის გამოფენა გამართული იქმნება ქ. ოზურგეთშიაც.

*** ამ ახლო მომავალში, იმავე გაზეთის სიტყვით, ბ-ნი კლაუსენი წაიკითხავს რამდენსამე ლექციას მებაღეობის და მებოსტნეობის შესახებ.

*** კვირას, 29 ნოემბერს, „საარტისტო საზოგადოებაში“-ში წარმოდგენა იქმნება გამართული სოდოლაკის ამაღლების კეკლესიის სამზრუნველოს სასარგებლოდ.

*** რუსულის გაზეთების სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერი საჭიროდა სცნობს ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში სრულებით გაუქმებულ იქმნას სასმელებით მოვაჭრე დუქნები.

*** ქალაქის მე-9 ნაწილში, მე-3 თუმანოვის ქუჩაზედ, № 38 სახლში მცხოვრები თავ. ნ. გ. ჩერქეზიშვილი 23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, საქმეებისა გამო ნაფიც მსაჯულის ტერ-სტეფანოვის სადგომში ძველარსენალის ქუჩაზედ მივიდა, მაგრამ იქ უეცრად გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲜᲘ.

წერილი პირველი.

შარშან, 18 აპრილს, „ივერიის“ მკითხველებს გავაცანი სოფ. ხიზაბავრა და ხიზაბავრელი ქართველი კათოლიკენი. უმთავრესად შევეხე იმ გარემოებას, რომ 1700 სულს ხიზაბავრელს ერთი პატარა ეკკლესია ჰქონდათ, სადაც ოცი კაცი ძლივს მოთავსდებოდა და ახლა მამა მიხეილ ვარძელაშვილის მოღვაწეობით ახალი ეკკლესიის კედელი ერთის საჟენის სიმაღლეთ ამოიტანეს-მეთქი და სხვ...

პატივცემულმა მამა მიხეილ ვარძელიშვილმა მთელი რუსეთი შემოიარა და ყოველის მხრიდგან მოსდიოდა ახალ ეკკლესიას შემოწირულება და დღეს სოფ. ხიზაბავრა ამაყობს თავისის დიდის ეკკლესიით (სიგძით 40, სიგანით 20 და სიმაღლით 15 ადლია) და ოც და-ათ ადლიან სიმაღლე სამრეკლოთი. მთლად ეკკლესია თავის სამრეკლოთი მშვენიერის ლურჯის თლილის ქვით მკვიდრად არის ნაშენი. ეკკლესიას მხოლოდ მოწყობა და უნდა და მომავალ ზაფხულში დანიშნულია კურთხევა.

იმისდა მიუხედავად, რომ ეკკლესიის შენების დროს შემწეობა ყოველ მხრიდგან მოსდიოდა, ეკკლესიას მაინც დიდი ვალი დაედო. მამა მიხეილ ვარძელაშვილს ტფილისშიაც მიუმართამს კეთილ მორწმუნე ქრისტიანეთათვის შემწეობის სათხოვნელად, ცნობილს კონსტანტინე ზუბალოვს 200 მან. შეუწირავს და მამა ვარძელაშვილს იმედი აქვს, სხვანიც არ დაიშურებენ თავის სულის საოხად ამ კეთილის საქმისთვის შემწეობას, შეძლებისამებრ წვლილს გამოიღებენ ღვთის სახლის ღირსეულად დამთავრებისათვის.

ეკკლესიის საჭიროებისათვის შარშან მამა მიხეილი საზღვარ-გარეთაც გაემგზავრა, მაგრამ ბათუმს რო ჩავიდა, კონსტანტინეპოლის არეულობის ამბავი მოვიდა, რის გამოც უდროოდ ჩასთვალა იქითკენ წასვლა. დღეს-კი კვლავ ნება მოსვლია და ტფილისიდამ საზღვარ-გარეთ მიდის. რამდენსამე ხანს დაჰყოფს სტამბოლის ახლო პატრის ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ-კათოლიკეთა ძმობასთან და აქედგან წავა პირდაპირ რომს პაპისაგან კურთხევისა და ხალხისაგან შემწეობის მისაღებად.

ილ. ალხ.

რუსეთი

საერო განათლების მინისტრმა ამ რამდენისამე დღის წინად საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. მიწერილობაში ნათქვამია, რომ ძალიან ხშირად საშუალო სასწავლებლებში მასწავლებლად ახალგაზდა, სრულიად გამოუცდელ კაცებსა ჰნიშნავენ, რომელთაც არც მომზადება და არც საჭირო მოწოდება აქვთ ამ მეტად ძნელ საქმისათვისაო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოსწავლენი ვერა სწავლობენ იმას, რაც პროგრამით უნდა ისწავლონ და გარდა ამისა სასწავლებელს სასურველი გავლენა ვერა აქვს მოსწავლეებზედაო. მინისტრი უჩჩევს მზრუნველთ, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და მასწავლებლად დახელოვნებული, ნამდვილი პედაგოგები დანიშნონ ხოლმე.

— „Сынъ От.“ იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს მომავალის 1899 წლის ხარჯთ აღრიცხვა 2 მილიონ მანეთით იქმნა გადიდებულიო. სამინისტრომ დიდი თანხა გადასდო უნივერსიტეტში იმ ახლად სწავლა-დამთავრებულთა საზღვარ-გარეთ გასაგზავნად, რომელნიც საპროფესოროდ უნდა მოემზადნენ.

— პეტერბურგში შეუდგენენ ახალის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის ბეჭდვას „სასოფლო მეურნეობა“, ვ. ნ. ელაგინის რედაქტორობით.

უცხოეთი

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ამ ნოემბრის 20 ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსებს შეუსრულდა 50 წელი, რაც იგი ტახტზედ იქმნა აყვანილი. ფრანც-იოსები ერთი უხუცეს მეფეთაგანია მთელს ევროპაში. იგი დაიბადა 1830 წელს; მაშასადამე 1848 წ. 20 ნოემბერს,

---

კლებული. „თუ იგი დასაბეჭდი იყოო, ვწერდით: რატომ „კვალმა“, სამართლიანობისათვის მაინც, გვერდში თვით ოლქის სასამართლოს დასაბუთებული განაჩენი არ ამოუყენა, რომ იმისს მკითხველებს სავსებით დაენახათ ნაკლი და ღირსება ერთისაცა და მეორესიცაო“ (იხ. „ივერია“, № 245).

ამასა ვწერდით და ეხლაც გავიმეორებთ. მართლაც-და, „კვალი“ რომ ს. ყიფიანის მიმართ სიძულილით არ დაბრმავებულიყო და განზრახ არ ამოეჩემებინა მარტო მომრიგებელ-მოსამართლის დასაბუთებული განაჩენი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამ გვარისავე განაჩენისათვისაც რომ მიეხედნა, შიგ ასეთს სიტყვებს ამოიკითხავდა:

მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენით სამსონ გიორგის ძე ყიფიანი ბრალეულად არის ცნობილი იმ ორს დანაშაულში, რომელიც აღნიშნულია მომრიგებელ-მოსამართლეთა მიერ მისასჯელ სასჯელთა წესდების მე-135 და 142 მუხ.

ეს განაჩენი მომრიგებელ-მოსამართლისა უკანონოდ (неправильнымъ) უნდა იქმნას მიჩნეული და გაუქმებული.

მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენში მოხსენებული სენატის გარდაწყვეტილება (1870 წ. № 517), რომლის ძალითაც მოსამართლეს ბრალდებულის საქციელში კანონის მე-142 მუხ. აღნიშნული ძალადობა დაუნახავს, ამ შემთხვევას სულ არ შეეფერება.

ბრალდებული ყიფიანი უნდა განთავისუფლებულ იქმნას სასჯელისაგან, რადგან ერთმანეთისათვის იმასა და გელეიშვილს თანაბარი შეურაცხება მიუყენებიათ (მუხ. 135), ხოლო რაც შეეხება მომრიგებელ-მოსამართლის მოსაზრებათ, რომ ვითომ ბრალდებული მე-142 მუხ. აღნიშნულ ბრალში დამნაშავე იყოს, ეს მოსაზრებანი უსაფუძვლოდ უნდა იქმნას ცნობილი, რადგან იგი არა მართლდება არც საქმის გარემოებითა და არც კანონით.

აი, ამასა სწერს ქუთაისის ოლქის სასამართლო მომრიგებელ-მოსამართლის იმ დასაბუთებულ განაჩენის შესახებ, რომელიც „კვალმა“ ისეთის ზარითა და ზეიმით დაჰბეჭდა ბ-ნ ს. ყიფიანის საკიჟინებლად, თუმცა მაშინ იგი განაჩენი უკვე გაუქმებული იყო, დაჰბეჭდა, რათა ამითი ს. ყიფიანის დანაშაული ცხად ექმნა, ხოლო ცხად ჰყო და საქვეყნოდ გამოააშკარავა მარტო ოდენ თავისი სიძულილის მჭვარტლითა და ღვარძლით შეღებული გული.

ნუ თუ არც ეხლა მოიკვნეტს „კვალი“ თავისს ბლაგვსა და დრკუენას, ეხლა, როდესაც ესოდენ ცხადყოფილია მისი ცალ მხრივი და მხოლოდ ბ-ნ სამსონ ყიფიანის სიძულილით გამოწვეული, განზრახ, მიკერძებით ჩადენილი უმართებულობა? ნუ თუ ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ „კრივის მოტრფიალე“ ვიყოთ და არა იმას, რომ წინააღმდეგი ვართ ლიტერატურაში პირადობითა და კერძოობით მოქმედებისა?!.

„კვალს“ რომ სამოქმედო დროშაზედ: „შური, მტრობა და სიძულილი“ უწერია ოქროს ასოებით, ეს ვისთვის რა ახალი ამბავია. იგი სდევნის ბ-ნს ს. ყიფიანს, როგორც დავამტკიცეთ, ყოვლად უმიზეზოდ; სდევნის პატივცემულს თ. მელქისედექ ფაღავ-ს, რომელიც ს. ყიფიანის ვექილი იყო და რომელსაც ამით ნაწყენმა „კვალმა“ მოუგონა: „სტუდენტობა ავად მოიხსენიაო“; კერძოდ ჩემ წინააღმდეგ ამაოდ ილესავს ბლაგვ კბილებს, რადგან საზოგადო საქმის გულ-შემატკივრობის ნილაბი ავხადე და სიძულილითა და პირადობით შემურული სახე გამოვუჩინე, და საზოგადოდ ახლა „ივერია“-საც-კი წაეპოტინა, იმის გამო თუ, რომ ეს გაზეთი ჩემს წერილებსა ჰბეჭდავს.

წაეპოტინა-კი, მაკრამ აქაც ნახტომი შეეშალა და თავისის უგუნურობის მეტი ვერა დაამტკიცა-რა. „კვალი“ უჩხირკედელავებს „ივერიის“ განცხადებას, რომ 1899 წელს გაზეთი გამოვა „იმავე პროგრამით, როგორც წინადაო“, და აი, რასა სწერს:

„ივერია“ ისევ აცხადებს: გამოვალ მომავალ წელს ისე, როგორც წინეთო. საოცარი ამბავია! მას შემდეგ, რაც „ივერია“ დაარსდა, ჩვენი ქვეყანა ძირიანათ(დ) შეირყა („კვალი“-ს თანამშრომლები ისე არიან შერყეულნი, რომ ყველგან „რყევა და ნგრევა“ ელანდებათ), დაიმართა რკინის გზები, ტელეგრამ-ტელეფონები, გაჩაღდა ქალაქები, აღიზარდა ახალ-ახალი თაობები (როგორა ჰგავს „ეს ახალ-ახალი თაობები“—ცხელ-ცხელ პურებს“)—ერთი(ს) სიტყვით ყველაფერი შეიცვალა, არ შეცვლილა მხოლოთ ერთათ(დ)-ერთი „ივერია“... სწორეთ ეს უნდა იყოს ის პროგრესია, თუ რაღაც ჯანდაბაა!..

აი წაიკითხეთ და დასტკბით!.. აბა „მეცნიერებაც“ ასეთი „დახატული“ უნდა, აი!.. მოდი და ნუ იტყვით, რომ ბატს უფრო მეტი ტვინი აქვს, ვიდრე „კვალი“-ს ნახატებიან თანამშრომლებს საერთოდ!.. „კვალს“, ამ „ნახატებიან სისულელეს“, ასე ჰგონია, რომ გაზეთმა პროგრამა უნდა შეიცვალოს, რაკი „ტელეფონი და ტელეგრამა“ იქმნა შემოღებულიო?!.. გაიხარეთ „კვალი“-ს მკითხველნო, ორის წლის შემდეგ ტფილისის ქალაქის რკინის გზაზედ ბელგიის უსახელო საზოგადოება ელექტრონის შემწეობით მოსიარულე ვაგონებს შემოიღებს და „კვალი“ ც მაშინვე თავისს პროგრამას შეიცვლის; რამდენისამე წლის შემდეგ კიდევ ქალაქს, ნავთის ფარნების ნაცვლად, ელექტრონი გაანათებს, ამას მოჰყვება ქვეყნის „ნგრევა და რყევა“ და „კვალი“ კვლავ დაჰკარგავს დიდის ხნის დაკარგულს გზა-კვალს, მესამე დასის ნაცვლად გ. წერეთელი სხვა ახალს, პროგრესიულს დასს დასვამს და პროგრამაც შეიცვლება!..

ეს ახალი სისულელეც რომ სათვალავში ჩავუთვალოთ „კვალს“, ნეტა მერამდენე იქნება იგი მის მიერ „დასმულ“ სისულელეთა რიცხვში?...

კმარა!.. „კვალი“-ს უკულმართი საქციელი ბ-ნთ ს. ყიფიანისა და პ. გელეიშვილის საქმეში ესოდენ აშკარაა, ესოდენ ცხადი, რომ სხვა, ახალის საბუთების დასახელება აღარა სჭირია. ჩვენ ვდუმებთ და მსჯავრის დადგენა მკითხველებისათვის მიგვინდვია...

ჩიორა

როცა ის ავსტრიის იმპერატორად იქმნა გამოცხადებული, თავისის ნებით გადამდგარ იმპერატორ ფერდინანდის ნაცვლად, იგი მხოლოდ 18 წლისა იყო.

იმპერატორს ფრანც-იოსებს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც ყოველად პატიოსანს და მშვიდობის მოყვარე გვირგვინოსანს. ის ყოველთვის თავისს დროზედ შეგნებდა ხოლმე, რა ცვლილებანიც იყო საჭირო მისის ქვეყნისა და ერისათვის და ამ ცვლილებათა შემოღებას არაოდეს არ აგვიანებდა. ტახტზედ ასვლიდგან მოყოლებული უგანსაკუთრებულ დროამდე იმპერატორს ხშირად უყვარდა თავისის ქვეყნის შემოგლა, რათა თითონვე ენახა ხალხის საჭიროებანი. საკვირველია, რომ ავსტრო-უნგრეთის იმპერიას მრავალი ეროვნობა შეადგენს და იმპერატორს ყველა იმათი ენა ესმის. სხვათა შორის ამით აიხსნება, რომ, ავსტრო-უნგრეთის ყველა ერის ერთმანეთ შორის დიდ განსხვავების მიუხედავად, იმპერატორი ფრანც-იოსები ყველა მისს ქვეშევრდომს იმ თავითვე დღემდის შესაძრნეველად უყვარს.

იმპერატორ ფრანც-იოსების ხანგრძლივ მეფობის დროს ავსტრიას ათასნაირი ცვლილება მოუვლინა, ზოგი სასიკეთო და ზოგიც დამაზიანებელი და თვით იმპერატორმაც მრავალი მწუხარება გამოიარა. ჩვენ აქ აღვნიშნავთ ზოგიერთ უმთავრესს მოვლენას:

ახალგაზდა იმპერატორი იმ დროს ავიდა ტახტზედ, როცა ავსტრიაში რევოლიუცია იყო გაჩაღებული და გაბსბურგების ტახტი რამდენიმედ ირყეოდა. ფრანც-იოსებს მეფობის პირველ დღიდგანვე გაუღიმა ბედმა: ფელდმარშალმა რადეცკიმ თავი ისახელა გამარჯვებით; იტალია და უნგრეთი დამშვიდებულ იქმნენ; თვითონ იმპერატორმაც გაიმარჯვა რუსებთან ბრძოლის დროს და ამ რიგად ავსტრიამ დიდი გავლენა მოიპოვა გერმანიაში. მაგრამ 1859 წელს ავსტრიამ იტალიასთან ომი წაგო და საუკეთესო ნაწილი თავისი, ნაოფიერი ლომბარდია, დაჰკარგა. ამ დამარცხების შედეგი ისიც იყო, რომ 1860 წ. 20 ოქტომბერს ბრეგენციებს სხვა და სხვა უფლება მიენიჭათ ავსტრიაში, და 26 თებერვალს 1831 წ. კონსტიტუცია იქმნა მიღებული. ამ ცვლილების ძალით ბრეგენციებს უფლება მიეცათ სეიმების არჩევისა, ხოლო მთავარი სეიმი ანუ რეიხსრატი ვენაში უნდა ყოფილიყო. ხორვატები და უნგრეთელები არ დაკმაყოფილდნენ მარტო ბრეგენციის სეიმით და სრულს თავისუფლებას თხოულობდნენ. დანიასა და ბრუსიას შორის ომმა ავსტრია წასწყვეტა ბრუსიას და გერმანიის დანარჩენ პატარა სახელმწიფოებს. ამის თან მოყვა თვით ავსტრიასა და ბრუსიას შორის ომი 1866 წ. როცა ავსტრია საშინლად დამარცხდა და იძულებული გახდა გერმანიაში ბატონობა ბრუსიისთვის დაეთმო, ხოლო ვენეცია იტალიისთვის გარდაეცა. ამ ომს ესლა იგივე შედეგი მოყვა ავსტრიის შანგანს ცხოვრებაში, როგორც 1859 წლის ომს: ამან ორად გაყო სახელმწიფო, ავსტრიად და უნგრეთად და ავსტრიას საკუთარი კონსტიტუცია მიანიჭა 1967 წელს. მრავალი დანაკარგი ავსტრიამ 1878 წელს შეასრულა: 1877—78 წლებში რუსეთისა და ოსმალეთის ომის დროს რადგან მან ნეიტრალიტეტი შეინახა, ე. ი. რუსეთს სრული თავისუფლება მისცა მოქმედებისა, ამისთვის ოსმალეთის ორი დიდი ბრეგენცია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, უომრად შემოიერთა.

ფრანც-იოსებს ერთად-ერთი კაცი ჰყავდა, რუდოლფი, რომელსაც ტახტი უნდა დაეჭირა თავისის მამის შემდეგ. კრონ-პრინცმა რუდოლფმა 1888 წელს თავი მოიკლა და ამით, რაღა თქმა უნდა, ენით გამოუთქმელი მწუხარება მიაყენა თავისს გვირგვინოსანს მშობელს, მაგრამ ამაზედ უფრო შემზარავი მოხუცებული იმპერატორისთვის მისი შედეგის, დედოფალ ელისაბედის, მოკვლა იყო ჟენევაში ანარქისტ ლუკენის მიერ.

—

სერბია. რისტიჩმა, რომელიც უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ დასს, ესლა სამუდამოდ უარი განაცხადა ამ დასის მეთაურობაზედ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის იძულებული შეიქმნა დიპლომატიურ დასს ჩამოშორებოდა. ამის მიზეზი ის არის, რომ იმას სურდა, ხსენებულ დასს წინანდებურად მეფის გვარეულობისთვის მოეხვრობა გაეწია და ოპოზიციაში არ გადასულიყო, მაგრამ შრომამ ტუიალად ჩაუარა. რისტიჩის მაგიერ დიპლომატიურ დასის მოთავედ არჩეულია რიბარაცი, აშკარა მოწინააღმდეგე მეფედ ნამყოფის მიდანისა ისე, როგორც ბაშიჩი, რომელიც, კარგი ხანია, საპენსიოდ ეშია ჩაგდებული. ამტკიცებენ, რომ რიბარაცს აზრად აქვს, რადიკალურ დასთან ერთად ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობასთ.

სკუპშჩინის ზოგიერთ დამოუკიდებელ დეპუტატს განუცხადებია, რომ ჩვენ გვირჩევნია ბალატას თავი დავანებოთ, ვინემ კლადა გეორგიევიჩის სამინისტროს მოეხვრობა გაეწიოთო.

—

ესპანია. როგორც „New Iork Herald“-ი იუწყება, ესპანიის მთავრობას გარდაუწყვეტია ერთი კუნძული აღარ დაინარჩუნოს იმისთვან, რომელნიც ესლა მას ეკუთვნის. კარიბინისა, მეკობრეთა და, უთუოდ, კანარის კუნძულებიც ამ სახელმწიფოს დაეთმობა, ვინც მეტს სასყიდელს გამოიღებს. ამ გზით ესპანია ჭეიქრობს თავისი ხარჯები დაჭეფაროს. მთავრობას აზრად აქვს გამოაქვეყნოს განსაკუთრებული წითელი წიგნი, რომელშიც დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი სამეფოდობო სელშეკრულობის პირობანი და საზოგადოდ ყოველივე ის, რაც შეეხება ამ სელშეკრულობას.

— ბისკაიასა და ზოგიერთ სხვა ბრეგენციაშიაც აღმოჩნდა კარლისტების მოძრაობის ნიშნები. მთავრობა გაფაფიცებით თვალ-ყურს ადევნებს კარლისტებს.



—

მასწავლებელმა ჰკითხა თავისს მოსწავლეს: რა განსხვავებაა ბეთლესა და ქმის შორისო? მოსწავლემ უპასუხა — ბეთლეი ჭირიან საქონელსა ჰკლავს და ბატრონს ფულს აძლევს, ქმი-კი ავადმყოფ ადამიანს ჰკლავს და ბატრონს ფულს ართმევსო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ეხლახან ორინგაპატონში დიდი აჯანყება მოხდა. 10,000 კაცი ფეზზე დადგა და წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის მთავრობის მოხელეებს იმ ღონისძიებათა გამო, რომელიც მიღებულ იქმნა შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეამბოხეთ უნდოდათ დაეგრეთ მკურნალების სადგურები და დაეხოცნათ სანიტარები. ინგლისის ჯარი იძულებულ შეიქმნა თოფებისთვის მიემართნა. ხალხი შეიარაღებული იყო თოფებითა, ხმლებითა და ცულებით. აქამდე ჯერ ამ გვარი საშიში ამბოხება არ მომხდარა.

* * *

1902 წელს იაპონიაში გაიმართება პირველი მსოფლიო გამოფენა. ოფიციალური უწყება ამ გამოფენისა და დაწვრილებული პროგრამები დაეგზავნება ევროპის სახელმწიფოთ მომავალ წლის გაზაფხულს.

* * *

იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ სარდინიაში ეხლახან საპატიმროდგან გაუნთავისუფლებიათ ერთი კაცი, გვარად პირმა, რომელიც უდანაშაულოდ 30 წელს ყოფილა დაპატიმრებული. ამ ოც-და-ათის წლის წინად პირმას ბრალი დასდეს კაცი მოჰკლაო და სამუდამოდ ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს პირმა დამნაშავეა კაცის მოკვლაშიო. ხოლო ამ ორის კვირის წინად ბრალმდებელთან მივიდა ნამდვილი დამნაშავე და გაუცხადა, კაცი მე მოვკალი, პირმა უდანაშაულოდ იტანჯება და მეც სინიდისის ქენჯნა მტანჯავსო. უბრალოდ დასჯილი კაცი განთავისუფლეს და 30 წლის ვაჟიშვილი მიეგება სახლში, რომელიც იმ დღეს, როდესაც პირმა გაასამართლეს, სულ 14 დღისა იყო.

* * *

ინგლისის ერთს სამკურნალო ჟურნალში შემდეგი საოცარი ამბავი სწერია. ერთი 18 წლის კაცი საევზამენოდ მეტად ბეჯითად მეცადინეობდა და ბევრი ღამე გასტეხა. ექვსის კვირის შემდეგ ამ ყმაწვილმა კაცმა შეამჩნია, რომ თითქმის სულ ერთ-თავად ძილი ერეოდა. ავადმყოფის მახლობელნი სცდილობდნენ ძილი როგორმე დაეფეთხოთ, დაჰყავდათ სასეირნოდ, სხვა-და-სხვა გასართობებზე დასასწრებლად, მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო. ბოლოს დაეძინა ეგრედ წოდებულ საღათას ძილით და 50 დღე და ღამეს ეძინა. მერე თანდათან უკეთობა დაეტყო და 7 თვის შემდეგ სრულიად ჯან-საღი გახდა.

ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

მომზადება ბორდოსის სითხისა.

ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული რეცეპტი ბორდოსის სითხის მომზადებისა, რომელიც მტენარის სხვა-და-სხვა სენის წინააღმდეგ იხმარება. ესლა მსურს კაუწყო მკითხველებს კიდევ ერთი რეცეპტი იმავე სითხის მომზადების შესახებ. ბრეტ. ბარტი აი როგორ გვირჩევს ამ სითხის მომზადებას: აიღეთ 10 გირ. შაბიამანი (ლურჯი) და გახსენით 10 ვედრო წყალში; გახსენით ცალკე $1^1/_2$ გირვანქა შაქარი და ბიერველს სითხეში აურიეთ (შაქარი იმიტომ უნდა აერიოს, რომ სითხე უფრო კარგად დადგეს ფოთლებზედ). შემდეგ აიღეთ $7^1/_2$ გირ. ასანი კარგი ქვა-კირი და გახსენით 10 ვედრო წყალში, ამისათვის კირი თხლად ნაქსოვს ტომარაში ჩაჰყარეთ და წყალში ჩაჰკიდეთ ამ დროამდე, კიდრე ქვა-კირი ტომის სახეს მიიღებდეს. ტომარაში იმიტომ ვყრით, რომ დაუშლელის კირის კენჭები სითხეს არ შეერიოს და სასხურებელი მანქანის სტერი არ გამოაკეთოს. ტომის მაგვარი კირი უნდა გამოიწუროს ტომრიდგან წყალში. ეს სითხეები ერთმანერთში უნდა აირიოს და ნარევი ესსუროს მტენარეებს. წინადაც მოგახსენეთ, რომ ეს წამალი გაჩენილს სენს არ ჰკურნავს, ხოლო სადს ნაწამალს მტენარეებს სენი ვერა ჰკნებს, ამიტომ ეს წამალი იმ დროამდე უნდა იხმაროთ, კიდრე მტენარეებს სენი გაუჩნდებოდეს. უმჯობესია სითხე თიხის, ან ხის ჭურჭელში მოამზადდეს.

თ. მ—შვილი

ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო: „ცისკარი“, ნოტებზედ გადაღებული მღვ. ვას. კარბელაშვილის მიერ. საეკლესიო საგალობელთა პირველი ნაწილი „მწუხრი“ მამა კარბელაშვილმა წინედ გამოსცა. ეს კრებული მეორე ნაწილია. წინასიტყვაობაში ავტორი გვპირდება, რომ განვაგრძობ მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილის გამოცემასაცაო. ეს კრებული განუხილავს გალობისა და ნოტების მცოდნე კაცებისაგან შემდგარ განსაკუთრებულს კომიტეტს და მოუწონებია იგი. კრებული დიდის ფორმატისაა, შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 1 მანეთი 50 კაპ.

დეპეშა

25 ნოემბერი

ხარკოვი. აქ გამომჟღავნდა საიდუმლო მკვლელობა. ქალაქის განაპირას ვასილიევის სახლის ეზოში, ჭაში იპოვნეს ნოქარის ჩერნიშოვის გვამი. ჩერნიშოვს თავის ქალა ჰქონია დაშავებული. მკვლელს ფულისა და ნივთებისთვის ხელი არ უხლია.

პარიჟი. ანტისემიტთა კრების გათავების შემდეგ, ნაციონალისტები, დერულედის წინამძღოლობით გაემგზავრნენ ბაკის ქუჩისაკენ, სადაც რევიზიის მომხრენი იყვნენ შეკრებილნი ერთს დარბაზში. დარბაზში შეკრებილთ გამოსვლა მოიწადინეს და ამ დროს დიდი ჩხუბი ასტყდა. დარბაზში ორჯერ გაისმა რევოლვერის ხმა. პოლიცია საჩქაროდ შეეიდა დარბაზში და ერთი დაჭრილი კაცი გამოიყვანა. ერთი პოლიციელიც არის დაჭრილი კისერში. ორი სხვა პოლიციელი ჩხუბის დროს დაშავდა.

რომი. პალატა. როდესაც განხილულ იქმნა საგანი ერთის მილიონის ლირის სესხად აღების შესახებ კრიტის დროებით მართვის ხარჯად, კანოვერომ განაცხადა, რომ კანონ-პროექტს ხმელთა შუა ზღვაში იტალიის ინტერესების დაცვა აქვს აზრადაო. შეცდომით ამტკიცებენ, ვითომ ეს კანონ-პროექტი იტალიის მხოლოდ საოცნებო გამარჯვება იყოს, ხოლო ნამდვილად-კი იგი რუსეთის გამარჯვებას აღნიშნავდეს. საქმე ის არის, რომ აქ გაიმარჯვა ცივილიზაციამ, რომელსაც წარმოადგენენ ოთხი მფარველი დიდი სახელმწიფო, სრულიად თანხმად და ყოვლად პატიოსნად მომქმედნი. მართალია, ბატონიშვილის გიორგის კანდიდატობა რუსეთმა წამოაყენა წინ, მაგრამ ამ წინადადებას გულწრფელად მიემხრნენ დანარჩენნი ოთხნი სახელმწიფონი, რომელთაც ალიარეს, რომ ამ საკანდიდატოს მოიწონებენ ბიდა-კუნძულის ქრისტიანენი, და დიდთა სახელმწიფოთაც მხოლოდ ესა ჰქონდათ სანგარად. გარწმუნებთო, სთქვა ბოლოს კანოვერომ, — რომ არც კრიტისა და არც სხვა საქმეში იტალია განდგომია სამთა კავშირსაო.

ვაშინგტონი. თავისს მიწერილობაში მაკ-კინლეი შეეხება შეერთებულ შტატების მუდმივ ჯარის გაუქმების საქმეს და ამბობს: ეს ჯარი ისე მცირეა იმ დიდ სახელმწიფოთა ჯარებთან შედარებით, რომელთაც რუსეთის იმპერატორმა მიჰმართა თვისის მოწოდებით, — რომ ამ საგანს შეერთებულ შტატებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო. ყოველ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორის წინადადება კარგი ნიშანია ერთა შორის დამოკიდებულების განკარგებისათვის. ამ აზრისა გამო შეერთებული შტატები უნდა მიეხროს ზემოხსენებულს წინადადებასაო.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეის ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ახლად შეძენილ ადგილების მმართველობის შესახებ სჯა გადიდვება იმ დრომდე, ვიდრე ზავის ხელშეკრულობა დამტკიცებული იქმნებაო. პრეზიდენტი ამტკიცებს — საჭიროა ყუბასთან აღებ-მიცემობა გავაძლიეროთ და დავახმაროთ დამოუკიდებელ მთავრობის დაარსებაში, რომ ამ კუნძულს შეეძლოს საერთაშორისო მოვალეობის ასრულება და მცხოვრებთა შორის მშვიდობიანობის დამყარება. ეპისტოლეში სწერია აგრედვე კარგი იქმნება დაარსდეს კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის პირობანი ჩინეთში. ეპისტოლეშინათქვამია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებათ, რომელთა შემწეობით შეერთებულ შტატების ვალიუტა, როგორც ეხლა შემდეგშიაც უფრიდეს ჩვენს ვაჭრობაში მეტოქე სახელმწიფოთა ვალიუტას. პრეზიდენტი ამტკიცებს აგრედვე დიდად საჭიროა ჩვენთვის გაძლიერება სამუდამო ჯარისაო და ამბობს, მოსაწონია ლონგის წინადადება შესახებ იმისა, რომ გაკეთდეს 3 სამხედრო გემი და თორმეტი კრეისერი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

Открыта подписка на 1899 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
ВОКРУГЪ СВѢТА
15-й годъ изданія — 15-й годъ изданія
50 иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО, БЕЗПЛАТНО
СЕРВАНТЕСА „ДОНЪ-КИХОТЪ“, въ двухъ томахъ,
и СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ГУСТАВА ЭМАРА, 10 ТОМОВЪ!
ЛУЧШИХЪ РОМАНОВЪ:
1. Арканзасскіе трапперы. — 2. Пограничные бродяги. — 3. Чистое сердце. — 4. Вольные стрѣлки. — 5. Гамбузиносы. — 6. Сакраменто. — 7. Масъ-Горка. — 8. Розасъ. — 9. и 10. Красивая рѣка.
2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
Проф. И. К. Айвазовскаго „Буря у береговъ Крыма“.
Проф. Лагоріо „Севастополь, открытый рейдъ“.
— ПОДПИСНАЯ ЦѢНА —
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 р. съ двумя картинами 5 р.
съ доставкою и пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Ильинскія вор., д. Титова.
(5—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Ноября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე